

# საქართველო

საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობის გარემონტი

გაზეთის № 103

დამატების № 19 საქართველოს მთავრობის გარემონტი

პეტერბურგი, 8 მაისი, 1916 წ.



COFOR  
CHOTI

## იროდოონ ეპიფანიი

სულ არ მიესტირი გაზაფხულის გარდს, ზამბახს, იას

და არ ვიგონებ სინანულით ბულბულთა წერიალს.

როგორ ვიგლოვო ყვავილთ გლოვა, დაძაბუნება,

გათხე შემხმარი დილის ცვარი, ველთ გახუნება,

როს ყვავილის წილ კვლავ იმედი მიღვივის გულსა,

როს ბულბულის წილ მეგობართ ხმა ესმის მამულსა,

როს ხალხის გულში სიმართლის ხმა დღეს იფურჩენება,

პსუსხავს ზამთარი, მაგრამ იგი მაინც არ ჭრება!


ი. ეპიფანიი.



ი. ევდოშვილი კუპოში. (ს. ერისთავის ნახატი).



ი. ევდოშვილი მეულლიოზრი.

ი. ევდოშვილი ახალგაზრდობაში.  
(სემინარიის I კლასში).

ი. ეკალაძე, ი. ევდოშვილი, შიო მლომელი.

## გურული ნანა

იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო.  
კარგად გიცი, ჩემო კარგო, ვინც შეგაშინაო!  
მტარვალების მათრახებმა ჩვენ დაგვაფრთხინაო,  
ტყეში თოვლზე გირწებ აკვანს, იავნანინაო!  
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
რა გაჭამო, ჩემო მტრედო ძუძუ დამიდნაო!  
რაც გვებადა მათ წაიღეს, აგვიკლეს ბინაო,  
უსახლეაროდ დაგრჩით, შეილო, იავნანინაო!  
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
მამაშენსა მათრახებმა სისხლი ადინაო,  
თოკიო შეკრეს და შებოჭეს, იავნანინაო  
ჯაშუშს ვერსად დაემალა, ბევრიც ირბინაო!  
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
შენმა უფროსმა ძმამ ხმლის ქეეშ ამოიგმინაო!  
უფროსი და... რაღა გითხრა, იავნანინაო,  
შენც გული გადმოგიბრუნდა, არ დაგეძინაო!  
ალარ არი, შეილო, ჩენი საწყალი კერაო,  
გულქვა მტრემა მოგვარგუნა ეს ბერისწერაო.  
სად გაგათბო, რა გიშეელო? შენ გენაცვალეო!  
ჯერ ტკბილი არ გიგემნია, მშარე დალიეო.  
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
უყურე ჩემსა ცრემლებსა, თოვლზე დაიბნაო  
იავნანა, ანგელოზო, შავ-თმა ხუჭუჭაო,  
ახლა კიდევ ფულებს გვთხოვენ, აგვისე მუჭაო.  
ხარჯი უნდა გადვიხადოთ მთის და ბარისაო,  
თუმც გაგვხადეს მეზობელი ტყის ნადირისაო!  
მაშ გავყიდოთ, შეილო, შენი აკვანი, მჩვრებიო,  
შენის ცრემლით გავახაროთ მოსისხლე მტრებიო.

თუ არა და,—ჩვენი სისხლი მათოვის მზათ არიო,  
დაიხსომე, ჩემო შეილო, ეს გლოვის ზარიო!  
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
როცა, შეილო, გაიზრდები მოძებნე ბინაო!  
მის ნაფერფლზე მედიდურად ტურფა, დარბაზიო  
იქ იდგება ამაყურად, კოხტა, ლამაზიო!  
მას ვერავინ ხელს კერ ახლებს,—მტარვალს ეკუთვნისო,  
მხოლოდ ჩვენი ქოხი იყო ლირის წიხლის კვრისო.  
მანამდე-კი იავნანა, ვარდო ნანინაო,  
როგორც მხეცებს, ჩემო კარგო, ტყეში გვაქვს ბინაო!  
იავნანა, ვარდო ნანა, დაგვძახის ქარიო.  
მწამს, რომ, შეილო, დაიქროლებს ხვალ სხვა ნიავიო.  
ის იქნება განთიადის წინამორბედიო,  
ჩვენ ტანჯულთაც გაგვილიმებს ერთხელ სხვა ბედიო.  
იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,  
დაიხსომე, რომ მტარვალმა აგვიკლო ბინაო!

ი. ევდოშვილი.



გარდაკვალებულ მგოსნის შვილები  
განო, თამარ, ბერა, თინა ხოსიტაშვილები, დისტული ფ. რნ. ოზ.



იროდიონის დედა ევდო.

## ეს პლაზანო!

ეჭ, ალაზანო ობოლო,  
ტიალო მინდორ-ევლომ,  
გალმა ნაფანტო ფირუზო,  
გამოლმა საყვარელომ,  
შენც მინდვრის იავჯერანო,  
ვერხვო, ჩინგურო ქარისა  
ცივო გომბორო ნართავო,  
ნაქარგო ეთერ ქალისა!  
შშირადა გხედავ სიზმარში,  
ნეტავ თუ გნახავ ცხადათა,  
ან იქნებ მოვკედე შორს თქვენგან, თავისი უწყვეტი ინდი  
უდროვოდ, ძალის-ძალათა!...  
გნახავთ, — ვერ გნახავთ, მანდ თუ აქ და იქ და მიმდინარე  
მოვკედები ბორკილიანი,  
რა უყოთ აქ თუ საფლავზე  
არ გაღმეშლება იანი;  
მის ნაკვლად ქარი დამლმუვლებს,  
მე, ქარი ჩირდილოეთისა,  
ოხერ მკვდარს თოვლი დამმარხავს;  
ვითომც ცრემლია დედისა,  
მაგრამ სიკვდილი სიცოცხლედ  
მაშინ მე გადამეცელება  
თუ სამარეში ჩემს ბორკილ  
თქვენიც ზედ დაეკეცება.  
მაშინ აყვავდეს ალალდეს  
მინდორი ეხლა ვერანი,  
გახტება, შეჟერავს ქამარას  
თავისუფალი ჯერანი.  
ეჭ, ალაზანო ობოლო,  
ვერხვო, ჩინგურო ქარისა,  
რაღა ვინანო თუ ასე  
ვიყო დამხუჭი თვალისა.

ირ. ევდოშვილი.



ევდოშვილი და რუს-იმერელი.

## იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას

სძინავთ ყვავილებს, სძინავთ ტებილად მაისის ღამეს,  
ვერცხლის ფერ შუქით შეულებაეს მიღამო მთვარეს  
და დაპხარიან გარსკვლავები სამშობლო მხარეს,  
მისსა მშვენებას საუცხოვოს და სინარნარეს.

ლალობს ბუნება ისმის ფშვინვა ვარდის საამო  
შენ კი კვნესოდი საკუთარის სიმღერის გამო...  
კვნესოდი ვიდრე სიყვარულით გითროთოდა სული  
ერის ბრწყინვალე მომავალით მარად მოხიბლულს;  
მაგრამ შეშურდა თვით კვნესაც კი შავს ბედის წერას,  
მოხვდა ისარი სასიკედილო გულს დაწყლულებულს!...

ქნარი.

## გურიას

ბულბული რომ ვყოფილიყავ,  
არ დავთმობდი მე შენს ჭალებს,  
მაგრამ ჩანგით დაგიკოცნი  
შორიდანაც ლამაზ თვალებს!  
გადაგიწვენ, ტურფავ, მქლავზე,  
დაგამლერებ იავნანას,  
გულში ვარდად ჩაგატარებ,—  
სულში, როგორც ცის მანანას!  
ორ ქედს შუა ჩანასკულო,  
დაფენილო მთის კალთაზე,  
ხან ზეცისენ ატყორცნილო,  
ხან გაშლილო დაბლა ბარზე;  
ხან მწუხარედ ნისლ დაკრულო,  
შუთის შემდეგ — მოლიმარე,  
მთა რომ მალლა ელვას გაკერავს,—  
ძირს იკინის არე-მარე!  
ასე იცის სატრულო გულმაც  
ხან ლელავ და ხან წყნარდება,  
ხან მოსხლტება საკოცნელ ტუჩის,  
ხან-კი — მკერდში ჩაეკვრება!

შე კოპშია ქალთ-ეთერო,  
ჩანგის სიმო, ჩანგის გულო,  
არწივის ფრთავ ლრუბლის თავზე,  
იადონის კრიმანჭულო!

ერთო ვარდო, მაგრამ ათას  
უვავილების თაიგულო.  
ცრემლს და სისხლზე ხელ-მეორეთ  
ისევ წელში გამართულო!  
ჩანგის სიმებს შემოვარტყავ  
პოეტის ძლვნად მე შენს ჭალებს,  
საქართველოს მარგალიტო,  
დაგიკოცნი ლამაზ თვალებს!

ირ. ევდოშვილი.



ირ. ევდოშვილი.

იმცირიშვილი მიმოწმებ უფრისადაც

\* \* \*

შრომა.. თფლის ღვრა.. სილარიბე.. ძუნწი ცხოვრება,  
და ჩემს გარშემოც ჩემებრივი უბედურთ კრება;  
უსიხარულოთ დალეული წარსულნი დღენი,  
და მომავალიც უმდედო, ნაღველათ მჩენი...  
ოხ, ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ ტანჯვას არ აქვს სიზღვარი?!

ის ღმერთი იყო, რომ მიჰენდა წამების ჯვარი!

ირ. ევდოშვილი.

1938 წელი

და მარტინ მარტინი  
მარტინ მარტინი  
მარტინ მარტინი  
მარტინ მარტინი

## ირდიონი

სამშობლოს-კილო ბულბულო,  
შიკრიე გაზაფხულისა,  
ზე-შთაგონებავ სულდგმულო,  
კავშირო სიყვარულისა,  
სიკოცხლის სასო-ნუვეშო,  
ჩონგურო ერის გულისა—  
რამ დაგადუმა, რას ფიქრობ,  
ფსალმუნო სიხარულისა?

განა მოკვედება ის თესლი,  
რაც შენ დაგითესია,  
რაც თვალ-უუუნა იაზე  
და შეხეხე უტურფესია?  
შენ იყავ ზეცის მუშაკი,  
ჩაგრულ მოძმეთა მესია  
შენი ცრემლი და გოდება,  
სიცილზე უკეთესია.

დე ნუ ისმინოს ქვეყანამ  
შენი კვნესა და გოდება,  
შენი ტანჯული სამშობლო  
ნურავის შეეცოდება,—  
შენი ციური სიმლერა  
მომავალს მოაკონდება.

მაშინკი შენი ნაღვაწი  
გაიფურჩება მდელოზე  
და საუკუნოდ იძლერებ,  
საყვარელ საქართველოზე!

დარია ახვლედიანისა.

## თამარ-ქვავილი

შემოდგომის დილითა აპყვავდება სოსანი  
ჰშვენის როგორც მეფესთან ქალი-გვირგვინოსანი.

ჰშვენის როგორც კრებაში ქალწულ ქალის თვალები,  
როგორც მთვარის ლიმილზე მყინვარის მწვერვალები..

როცა ლამემ დასკალოს ნამის ლურჯი თასები  
აესხმება კაბაზე ლალი და ალმასები...

მხიბლავს მისი ლიმილი და თვალები გედური  
ალვისხიან ტანზედა,—სხივთა ოქრომკედული..

გაზაფხულის ყვავილებს მიჯობს ობლად შთენილი  
შემოდგომის დღესავით ნაზი და მოწყენილი..

მან არ იცის: ბალჩაში, აყვავილდა რისთვისა,  
ან როდის დაუბერავს ქარი ენკენისთვისა..?

ფერად სიზმრებს შეუცვლის ფრთა-ნარნარი სიკვდილი,  
და ცისკრისას იხილეთ მჭერიარი და ფერ-მიხდილი..

ნუკრი გამოიტირებს სევდიანად მზრალი  
და ცრემლად დაეფრქვევა ნისლი ჩამომტირალი...

ვინ მეტყოდეს: ყვავილნი, მალე რისთვის ჭინებიან,  
ან, მეორე გაზაფხულს, კიდევ აპყვავდებიან?!

გ. ლეონიძე.